ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ოქმი:**ო47.47210421**
თარიღი:**11/02/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი 1

***დ. ჩოხატაური* 29 იანვარი 2021 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, მაია პაიჭაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: კლოდი მდინარაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი კუჭავა - მუნიციპალიტეტის მერი

მერაბი ბერძენიშვილი - მერიის სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

თეა უჯმაჯურიძე - მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური სამსახურის უფროსი

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

2. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ
4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.
5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტერის საკრებულოს დადგენილები გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ნატო ჩანტლაძემ, ბესიკ ყენიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 33

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 33 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

თანამომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

2. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის

ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტერის საკრებულოს დადგენილები გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

I საკითხი:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

საკითხთან დაკავშირებით, საკრებულოს სიტყვით, მიმართა თანამომხსენებელმა მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კუჭავამ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის ვარიანტში მისთვის მისაღებია, თითქმის ყველა შენიშვნა რასაც საკრებულოს კომისიები და ფრაქციები წარმოადგენენ, მხოლოდ პრინციპულად არ ეთანხმება თემას, მოწონებული პროექტების გადაგზავნის რიგითობის საკითხთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია დაფინანსებისთვის სახელმწიფო კომისიაში პირველ რიგში გადაიგზავნოს პროექტი „ სოფელ კოხნარი-საჭამიასერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია“

უფრო კონკრეტულად, განხორციელდეს გზის რეაბილიტაცია სოფელ კოხნარის ცენტრამდე, ხოლო გზის დარჩენილი მონაკვეთი სოფელ საჭამიასერამდე, გაგრძელდეს შემდეგ ეტაპზე. რაც შეეხება, სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციისთვის 320.000 ლარის გამოყოფას და პრიორიტეტულად ამ პროექტის განხორციელებას, ამ ეტაპზე მიზანშეწონილად არ მიაჩნია და არ ეთანხმება. აღნიშნა , რომ სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციის პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია და შესაძლებელია პროექტის ხელახალი გადამუშავებით გზით მოხდეს თანხების ოპტიმიზაცია და ამის შემდეგ მისი განხორციელება.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს მომხსენებელთან და თანამომხსენებელთან შეკითხვების დასმის თაობაზე. და გამოაცხადა დებატების დაწყების შესახებ.

დებატის ფორმატში საკრებულოს სიტყვით მიმართა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, ზვიად მამალაძემ, რომელმაც აღნიშნა: სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციის საკითხი არ არის მხოლოდ პარკის რებილიტაცია, ეს არის ხიდისთავში მშენებარე ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, მისი ეზო. სოფლის მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდები ითხოვენ, რომ ეკლესიის მშენებლობის დასრულებამდე კეთილმოეწყოს მიმდებარე სკვერი, რადგანაც ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ პროექტის განხორციელება გაჭირდება. ჩემი თხოვნაა ეს პროექტი გადაიგზავნოს პირველ რიგში.

ამავე ფორმატში სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარეს ბექა გამდლიშვილს რომელმაც აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის კოხნარის გზის ცენტრამდე გზის რებილიტაციის პროექტის პირველ ეტაპზე გადაგზავნის, მაგრამ აუცილებლად უნდა გადაიგზავნოს სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციისთვის 320.000 ლარის გამოყოფის მოთხოვნაც. ეს საკითხი განხილულია ფრაქციის „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“ სხდომაზე და მას ფრაქციამ მხარი დაუჭირა.

ასევე აზრი გამოთქვეს სოფლების კოხნარისა და საჭამიასერის მაჟორიტარმა დეპუტატებმა და მხარი დაუჭირეს ამ ეტაპზე განხორციელდეს გზის რეაბილიტაცია სოფელ კოხნარის ცენტრამდე.

აზრი გამოთქვეს : კობა კალანდაძემ, ლაშა თოლორდავამ, მაია გიორგაძემ, მანანა მინდაძემ, ლია ჩიგოგიძემ, ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ, ნატო ჩანტლაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ დებატის დასასრულს სიტყვა გადასცა მუნიციპალიტეტის მერს ირაკლი კუჭავა, რომელმაც განმარტა, რომ არ ეთანხმება პირველ ეტაპზე სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციის პროექტის გადაგზავნას სახელმწიფო კომისიაში, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაციის პროექტი გადასახედია, იძლევა თანხების ოპტიმიზაციის საშუალებას. მით უფრო, რომ ინფრატრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხების საპროგნოზო ოდენობა შემცირებულია.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს მიმართა წინადადებით, საკითხის კომპრომისული ფორმულირების შესამუშავებლად 15 წუთიანი შესვენების გამოცხადების თაობაზე და საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგები:

(კენჭისყრას ესწრებოდა 33 წევრი)

გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება

შესვენების დასრულების შემდეგ, განახლდა საკრებულოს სხდომა, ჩატარდა ხელახალი რეგისტრაცია:

სხდომის თავმჯდომარე - ზაალ მამალაძე.
სხდომას ესწრებიან: დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ალექსანდრე შარაშიძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, მაია პაიჭაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, მანანა მინდაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, მაია კუტუბიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მუნიციპალიტეტის მერიიდან სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი კუჭავა - მუნიციპალიტეტის მერი

მერაბი ბერძენიშვილი - მერიის სპეციალისტი ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკის საკითხებში

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ქონების მართვის განყოფილების უფროსი

თეა უჯმაჯურიძე - მერიის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური სამსახურის უფროსი

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ დასმული საკითხის კომპრომისული ფორმულირება წარუდგინა საკრებულოს წევრებს: კონკრეტულად, წარმოდგენილი პროექტის დანართის ცხრილში:

- პირველ პუნქტში, რომელიც შეეხება სოფელ კოხნარი-საჭამიასერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციას, შენიშვნის გრაფაში დაემატა ტექსტი „ამ ეტაპზე გადაიგზავნოს 200,000 ლარის ფარგლებში“,

- მე-6 პუნტში სოფელ შუა ამაღლებაში (ქვიშნარას უბანში) საავტომობილო გზის რეაბილიტაციის სამუშაოების შესახებ შენიშვნის გრაფაში დაემატა ჩანაწერი „მომზადდეს სრული პროექტი, 2021 წელს დაიხარჯოს 200,000ლარი“.

- მე-11-ე პუნქტში სოფელ დაბლაციხეში ე.წ. ფურნედან სკოლამდე, საყვავისტყის მიმართულებით ადმინისტრაციულთან და ჩხიკვაძის უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია შენიშვნის გრაფაში დაემატა ჩანაწერი „მომზადდეს სრული პროექტი, 2021 წელს დაიხარჯოს 150,000 ლარი“.
- მე-12 -ე პუნქტში გოგოლესუბანის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების რეაბილიტაციის სამუშაოები (3 უბნის გზა) შენიშვნის გრაფაში დაემატოს ჩანაწერი „მომზადდეს სრული პროექტი, 2021 წელს დაიხარჯოს 150,000 ლარი“.
- სოფელ ხიდისთავში ანა კალანდაძის სკვერის რეაბილიტაცია, შენიშვნის გრაფაში დაემატოს

ჩანაწერი „ამ ეტაპზე გადაიგზავნოს 200,000 ლარის ფარგლებში“.

- წარმოდგენილ ცხრილს დაემატოს სოფელ ზემოსურებში და სოფელ დიდივანში შიდა გზების რეაბილიტაცია და თითოეული პროექტის განსახორციელებლად განისაზღვროს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

აღნიშნული პროექტი ამ ცვლილებებით წარდგენილ იქნა კენჭისყრაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ცვლილებებით დამტკიცებულ დანართთან ერთად.

II საკითხი:

2. 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბი ბერძენიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, დავით გუდავაძემ, ლაშა თოლორდავამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: 2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

III საკითხი:

3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით ბერძენიშვილმა, მაია გიორგაძემ, თემური ხუხუნაიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება : 3. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

IV საკითხი:
4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გიორგი რამიშვილმა, ქეთევან სიხარულიძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

V საკითხი:
5. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა, ალექსანდრე ყაჭეიშვილმა, შოთა ჩხიკვაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია დადგენილება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VI საკითხი:

6. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტერის საკრებულოს დადგენილები გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების

დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტერის საკრებულოს დადგენილები გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეიშვილმა, კობა კალანდაძემ, ზვიადი მამალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 ივლისის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტერის საკრებულოს დადგენილები გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი